

კონსტანტინოპოლის დაარსება

ამავე ხანებში მოხდა მეორე მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომელმაც იმპერიის ბერძნული აღმოსავლეთის დასავლეთისაგან დამოუკიდებელ განვითარებას შეუწყო ხელი. ჯერ კიდევ დიოკლეთიანე მიხვდა, რომ ერთი დედაქალაქიდან – რომიდან, იმპერიის შორეული აღმოსავლეთის პროვინციების მართვა გაუჭირდებოდა და ამიტომ იგი ოთხ ადმინისტრაციულ ნაწილად დაყო, რომელთაც ორი იმპერატორი – დასავლეთისა და აღმოსავლეთისა და ორი კესაროსი მართავდა, რასაც ისტორიაში ტეტრარქიის ანუ ოთხთა ხელისუფლება ეწოდა. აღსანიშნავია, რომ თავად მან საგანმგებლოდ იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი დაიტოვა, ხოლო საცხოვრებლად ნიკომედია აირჩია. აქედან მოყოლებული, დასავლეთის იმპერატორები საცხოვრებლად მილანს ამჯობინებდნენ, ხოლო აღმოსავლეთისა – ნიკომედიას.

იმპერატორმა კონსტანტინემ აღმოსავლეთისათვის ახალი, საკუთარი ცენტრის დაარსების აუცილებლობა კიდევ უფრო მწვავედ იგრძნო. გადაწყვეტილების მიღებას ხელი იმ გარემოებამაც შეუწყო, რომ რომში, რომელიც თავის ძველ დიდებას წარმართობასთან აიგივებდა და მისი დაკარგვის მიზეზად ქრისტიანობას მიიჩნევდა, ქრისტიანთა მფარველი და პატივისმცემელი იმპერატორი არ უყვარდათ. წარმართული წარსულის გამო, რომელიც სისხლიან სანახაობებსა და სხვა სახის უზნეობებს უკავშირდებოდა, რომისკენ გული არც თვითონ კონსტანტინეს მიუწევდა და მას იშვიათად სტუმრობდა. ახალი დედაქალაქისათვის ადგილი მან ბოსფორის პირას, ბორცვებიან ნახევარკუნძულზე შეარჩია, სადაც ადრე მეგარის კოლონიის პატარა დაბა ბიზანტიონი მდებარეობდა. 324-330 წლებში აქ აშენდა ქალაქი, რომელსაც მისი დამაარსებლის სახელი – კონსტანტინოპოლისი ეწოდა და რომელმაც შემდეგში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის კულტურულ-პოლიტიკური დაწინაურების საქმეში.

„ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წაყლობით, რაც იმპერიის ახალ დედაქალაქს მნიშვნელოვანი სამხედრო და ეკონომიკური ხასიათის უპირატესობას ანიჭებდა, კონსტანტინოპოლისი ის ბუნებრივი ცენტრი გახლდათ, რომლის გარშემოც შეიძლებოდა შემოკრებილიყო აღმოსავლური სამყარო“.¹ მართალია, მისი მშენებლობა 330 წლის შემდეგაც კარგა ხანს გრძელდებოდა, მაგრამ ძირითადი ნაწილი, კერძოდ, რამდენიმე ეკლესია, მათ შორის წმ. სოფიისა – ღმრთის სიბრძნის სახელზე, იმპერატორის სასახლე, შენობა სენატის სხდომებისათვის, ახალი ფორუმი საზოგადოებრივი კრებების გასამართავად, ცენტრალური ქუჩა, დამშვენებული შადრევნებითა და აბანოებით, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ზემოაღნიშნულ წლებში აშენდა. ახალ დედაქალაქში იმპერატორმა ნაცვლად ლათინური დასავლეთის ქალაქებისათვის დამახასიათებელი ცირკისა, სადაც სისხლიანი სანახაობანი იმართებოდა, ბერძნული პოლისების ტრადიციათა გათვალისწინებით, უზარმაზარი ჰიპოდრომი ააგებინა. კონსტანტინეპოლისი, რომელიც ღმრთისმშობლისადმი იყო მიძღვნილი, 330 წლის 11 მაისს საზეიმოდ აკურთხეს. მას სამეფო ქალაქსა და ახალ რომსაც უწოდებდნენ. აღსანიშნავია, რომ ახალ რომს მისი დამაარსებლისაგან

¹ შ. დილი, ბიზანტიის იმპერიის ისტორია, ფრანგულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, თბ., 1998, გვ. 4.

იგივე პრივილეგიები მიენიჭა, რომელიც ძველ რომს ჰქონდა; მაგალითად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი პურს უფასოდ იღებდა.

ქალაქის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრს მთავარი მოედნის – ავგუსტეონის გარშემო გაშენებული რაიონი წარმოადგენდა; აქ მდებარეობდა იმპერატორის სასახლე – ნაგებობათა რთული კომპლექსი და სენატის შენობა. სასახლე უშუალოდ უკავშირდებოდა ჰიპოდრომს, კერძოდ, იმპერატორის ტრიბუნას სასახლესთან საიდუმლო გასასვლელი აკავშირებდა, რათა მას საფრთხის დამუქრების შემთხვევაში გაქცევა გაადვილებოდა. ჰიპოდრომიდან იწყებოდა ქვის ფილებით მოკირწყლული ცენტრალური ქუჩა – მესა, რომელსაც ტაძრები, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის რეზიდენცია, სენატის შენობა, არისტოკრატთა სასახლეები და კაპიტოლიუმი ამშვენებდა, სადაც 425 წელს პირველი უნივერსიტეტი გაიხსნა. ბოსფორის სანაპიროს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მდიდრული ვილებითა და დიდებულთა საზაფხულო რეზიდენციებით იყო მოფენილი.

V საუკუნეში, იმპერატორი თეოდოსი II (მცირის) დროს, კონსტანტინე დიდის აგებულ თავდაცვით ნაგებობას – ძველ კედლებს, ახალიც მიემატა და ორივემ ერთად ქალაქის დასაცავად 16 კმ-ზე გადაჭიმული საიმედო სარტყელი შექმნა, რომელიც 400 კომპით იყო გამაგრებული. დედაქალაქს გარს ერტყა 10 მ. სიღრმისა და 20 მ. სიგანის წყლით სავსე არხი. შემდეგ იყო პირველი კედელი – პროტეიხიზმი, რომელსაც მეორე, სიგანით 2-3 მ, ხოლო სიმაღლით 20 მ. კედელი მოჰყვებოდა; შემდეგ მოდიოდა მესამე კედელი, რომლის საფუძველიც მიწაში 10-12 მ სიღრმეზე იყო გათხრილი, რათა ქალაქში შესასვლელად მიწისქვეშა გვირაბის გათხრა შეუძლებელი ყოფილიყო. კონსტანტინოპოლს ხუთი, კომპებით დაცული და ხუთიც სამხედრო ჭიშკარი ჰქონდა. 25 წლის შემდეგ დასრულდა დამცველი კედლების მშენებლობა ზღვის მხრიდანაც.

კონსტანტინეს ქალაქი დაარსებისთანავე ჩაუდგა სათავეში ბერძნული აღმოსავლეთის არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სულიერ-კულტურულ ცხოვრებასაც, რომელსაც ანტიკური კულტურის საუკეთესო ტრადიციები ასაზრდოებდა და ქრისტიანული მსოფლმხედველობა წარმართავდა და საშუალება მისცა მას ლათინური დასავლეთისგან განსხვავებულ, დამოუკიდებელ გზას დასდგომოდა. ამიტომაც ითვლება ნიკეის პირველ მსოფლიო კრებასთან ერთად კონსტანტინოპოლის დაარსება იმ ნიშანსვეტად, საიდანაც მკვლევარები **რომის იმპერიის ბერძნული აღმოსავლეთის, ანუ ბიზანტიის შესწავლას იწყებენ**. მართალია, იმპერია ორად ოფიციალურად იმპერატორი თეოდოსი დიდის მემკვიდრეებს – არკადიუსსა და ჰონორიუსს შორის 395 წ. გაიყო, მაგრამ ფაქტობრივად ეს გაყოფა ბევრად უფრო ადრე, მე-4 საუკუნის 20-30-იან წლებში მოხდა და მას სათავე ნიკეის მსოფლიო კრებასთან ერთად კონსტანტინოპოლის დაარსებამაც დაუდო.²

ძველი რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს „ბიზანტია“ გვიან, კერძოდ, მისი დაცემიდან ასი წლის შემდეგ, მე-16 საუკუნის შუა ხანებში, ფრანგმა ჰუმანისტებმა უწოდეს, ხოლო მის ქვეშევრდომებს – ბიზანტიელები. ეს სახელი მომდინარეობს ბიზანტიონიდან ანუ იმ დაბის სახელწოდებიდან, რომლის ადგილზეც იმპერიის ახალი დედაქალაქი – კონსტანტინოპოლი დაარსდა. თვითონ ბიზანტიელები,

² ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973, გვ. 4-5.

როგორც ჩანს, ეროვნულ წარმომავლობასთან შედარებით უპირატესობის რომის იმპერიის მოქალაქეობას ანიჭებდნენ და თავიანთ თავს **რომაელებს** (ძველ ქართულ წყაროებში ჰრომნი, Rwmai*oi*), სახელმწიფოს – აღმოსავლეთ რომის იმპერიას, ხოლო დედაქალაქს ახალ რომს (nea; Rwm*h*) უწოდებდნენ. უმაღლესი ხელისუფალნიც თავს რომაელთა იმპერატორებად (ol aujtokra*itwr twn* Rwmai*wn*) წარმოადგენდნენ.